№ 180

შაბათი, 19 აგვისტო, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 180

შაბათი, 19 აგვისტო, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გ. მავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ტფილისის საკომერციო სასწავლებელი

აცნობებს მშობლებსა და ოპეკუნებს, რომ ამ შემოდგომაზედ **მისაღები ეგზამენები** დანიშნულია სექტემბრის პირველ რიცხვებში, რაიცა **ცალკე** იქმნება გამოცხადებული გაზეთებში. (5—6.—2).

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსის ისე **სარჩულები.** აჭრვის როკორციაში ო იყიდება ქუთაისში, წერეთლიაბიო ნთსო და **საპირე**,ი გნის მაღაზიებში.

(50—6.—17) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა **იწვევს მსურველთ**

## თეატრში სამსახურისათვის.

მსურველთ უნდა მიჰმართონ ბ ნ ვ. **გუნიას,** საზოგადოების კანტორაში (თავად-აზნაურთა ქარვასლა, თეატრის გვერდზედ), ყოველ დღე, დილის 11 საათიდგან პირველ საათამდე. (3—1)

ვისაც რაიმე **საქმე** აქვს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ნაწარმოებთა ანუ ბუნებით სიმდიდრის შესახებ **ქართველთა მეპამულეთაგანს,** ვთხოვთ მიჰმართონ **რაფაელ ისარლოვს,** ქართველთა მემამულეთა წარმომადგენელს პარიჟის გამოფენაზედ.

Raphaël Isarloff Paris, rue des Ecoles, 40. (16—6.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ს. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. ჰ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს.

გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს ₰ გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბაგშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მუსინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ვ. ვ. წერეთელი,** 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკოვიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისის, კანისა და საშარდესა—11½—12½ საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

გუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (კარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## ახალი ამბავი

⁂ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ გუშინ ისევ გამოვიდა გაზეთი „Новое Обозрѣніе". როგორც მოსალოდნელიც იყო, გაზეთის ამ №-ში მოთავსებულია საზოგადო მიმოხილვა იმ კანონდებულებათა, რომელნიც ამ 8—9 თვის განმავლობაში იქნენ შემოღებულნი კავკასიაში, საზოგადო მიმოხილვა რუსეთის ცხოვრებისა და უცხოეთისა და, დასასრულ, მიმოხილვა კავკასიის შინაური ცხოვრებისა: კავკასიის მეურნეობა ამ ხნის განმავლობაში და ნავთის წარმოება, რომელთაც მოსდევს მიმოხილვა ადგილობრივის ლიტ-გამოცემებითის მწერლობისა, რომელშიაც აღნიშნულია თითქმის ყველა ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი ყურადღების ღირსი წერილები, თუ მოთხრობანი და თარგმანები.

⁂ „კანონდებათა საკრებულოს" მე-93 №-ში გამოქვეყნებულია ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის ხიზანთა შესახებ 1891 წ. 3 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულის ხიზანთა დებულების დამატებანი.

⁂ როგორც უმაღლესად დამტკიცებულ ქალაქების სიიდგანა სჩანს, ბინებზედ გარდასახადის გაწერვაში მეორე კლასის ქალაქებში მოქცეულია: ტფილისი, ბაქო, ბათუმი; მესამისაში: ქუთაისი, ფოთი, სოხუმი; მეოთხე კლასის ქალაქებში: ახალქალაქი, ახალციხე, გორი, ოზურგეთი, სიღნაღი და თელავი.

⁂ უმაღლესის ბრძანების თანახმად, არყისა და სპირტის აქციზს გრადუსზედ 10 დგან 11 კაპეიკამდე მოემატა, ლუდის აქციზს მიემატა ვედროზედ 40 კაპეიკამდე, მახორკას გირვანქაზედ 9 კაპ., ხოლო თამბაქოს ნაწარმოებს ფუთზედ 4 მანეთი.

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

რკინის გზები და ჩინელები.—როგორ იძიებენ შურს საიდუმლო საზოგადოებათა წევრნი.—„სიყვარულის ბურთები" და ქალ-ვაჟთა გართობა.—ცოცხლად დამარხვა ადამიანისა ჩინეთში.—თავისმკვლელობა ჩინეთში.—ჩინური ზღაპარი.

ჩინეთში მომხდარმა ამბებმა ევროპასა და ამერიკას დიდი სურვილი აღუძრა ამ შორეულ სახელმწიფოს შესწავლისა. ვინც-კი ოდესმე ჩინეთში ყოფილა, იქ ნახულსა და გაგონილს ეხლა ჰბეჭდავს და უზიარებს სხვებს. ამ უკანასკნელ ორ-სამ თვეში მრავალი წიგნი დაიბეჭდა ჩინეთის შესახებ. გაზეთებში ხომ კაცი თვალს ვერ აუქცევს ჩინეთის ამბებს.

სულ 30—35 წელიწადი არ არის, რაც ჩინელებმა უცხო-ქვეყნელებს მტრულის თვალით დაუწყეს ყურება. წინად ჩინელები ძალიან კარგად ექცეოდნენ ევროპიელებს და თავიანთ სახელმწიფოში თავისუფლად სიარულის ნებას აძლევდნენ. სიძულვილი და მტრობა ჩინეთში მას შემდეგ ჩამოვარდა, რაც ამ სახელმწიფოს მისსიონერები კალიასავით შეესივნენ და იმათ წყალობით ევროპის სახელმწიფონი ჩინეთის მიწა-ადგილის დასაკუთრებას შეუდგნენ. არც რკინის გზების გაყვანა ესიამოვნათ ჩინელებს. როდესაც პირველად, ამ ოცის წლის წინად, ჩინეთში რკინის გზა გაიყვანეს და მატარებლებმა სიარული დაიწყეს, იმპერატორის ბრძანებით ეს გზა სამ დღეში იქმნა დაქცეული. ამისდა მიუხედავად რკინის გზამ ჩინელთა შორის საოცარი ცნობის-მოყვარეობა აღძრა. აუარებელი ხალხი იკრიბებოდა იქ, სადაც პირველად მატარებლებმა დაიწყეს სიარული. როდესაც ვუზუნიდგან შანჰაიმდე რკინის გზა გაიყვანეს, ჩინელებმა ერთს წუთს აღარ მისცეს მოსვენება რკინის გზის ადმინისტრაციას: ყველა სადგურზედ აუარებელი ხალხი იკრიბებოდა, ბევრი ვაგონებში შედიოდა და აღარაფრის გულისთვის აღარ აპირობდა იქიდგან გამოსვლას, ხშირად გაქანებულ მატარებლებზედაც ჰხტებოდნენ ჩინელები. რათა უკმაყოფილება არ გამოეწვია ხალხში, ადმინისტრაცია პირველ ხანს ყურადღებას არ აქცევდა ამას და ხშირად უსასყიდლოდ დაასეირნებდა ცნობის-მოყვარე ჩინელებს, მაგრამ ბოლოს ისე მოაბეზრეს თავი, რომ ფიქრსა და საგონებელს მიეცა. მაბეზარ ჩინელების თავიდგან მოსაშორებლად ადმინისტრაციამ შემდეგ ხერხს მიჰმართა. ერთხელ საქონლის მატარებელმა შანჰაიში რკინეულობა მიიტანა, იქიდგან მატარებელი ცარიელი უნდა დაბრუნებულიყო. სადგურზედ ხუთასმა ჩინელმა მოიყარა თავი და მოსთხოვა სადგურის უფროსს, უნდა უეჭველად მატარებლით გაგვასეირნოთო. როდესაც სადგურის უფროსმა ვერაფერი გააწყო, დასხა ეს ხუთასი კაცი მატარებელზედ და ვუზუნში გაისტუმრა. ვუზუნში ჩინელებმა ქალაქი მოიარეს, დაათვალიერეს ახალი სადგური და ისევ ბაქანზედ მოიყარეს თავი იმ იმედით, რომ მატარებელს მოჰვართმევენ და უკანვე დავბრუნდებითო. მაგრამ ამის ნაცვლად გამოუცხადეს, რომ მატარებელი უკან აღარ მიდისო. ჩინელებს დიდი უკმაყოფილება გამოუცხადებიათ, ბევრი უყვირნიათ, მაგრამ ბოლოს მაინც ქვეითად დაბრუნებულან უკან. ასეთის მაგალითების შემდეგ ჩინელები მაგრე რიგად აღარ ეტანებოდნენ მატარებლებს და აღარ ეხვეწებოდნენ, გაგვასეირნეთო.

ბილეთის ყიდვის დროს ჩინელი კასსასთან თითქმის მთელი ერთი საათი ვაჭრობს; რაც უნდა იაფი იყოს ბილეთი, ჩინელს მაინც ეძვირება და ყოველთვის თხოულობს, ნაკლებ ფასად მომყიდეთო.

ამ ბოლოს დროს ჩინელები ძალიან მიეჩვივნენ რკინის გზას და რკინის გზით მუშაობას სულ აღარა თაკილობენ.

⁂

როგორც ვუწყით, ჩინეთში მრავალი საიდუმლო საზოგადოება არსებობს. ასეთ საზოგადოებათა სიმრავლით ჩინეთს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეედრება. შეუძლებელია, ჩინელი რომელსამე საიდუმლო საზოგადოების წევრად არ ითვლებოდეს. საიდუმლო საზოგადოება დიდ პატივშია ჩინეთში და იმის ავად ხსენებას ჩინელები არავის არ შეარჩენენ ხოლმე. თუ რა ზომამდე მიაღწევს საიდუმლო საზოგადოების წევრის შურისძიება, შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს.

ერთხელ ერთი გერმანელი, გვარად რევოლდი, შანჰაიში არსებულ მდიდარ სავაჭრო ფირმის მოსამსახურე, ჩინელთა სადღესასწაულო ნადიმზედ იყო მიწვეული. რევოლდმა სადილის დროს საიდუმლო საზოგადოებათა შესახებ დაიწყო ლაპარაკი და საშინლად გაჰკიცხა ასეთი საზოგადოებანი. გვერდზედ რევოლდს მეგობარი ეჯდა, ჩინელი, რომელმაც ხან ხელებით, ხან თვალებით ანიშნა გაჩუმებულიყო, მაგრამ ორატორმა თავისი მაინც არ დაიშალა. დამსწრეთ ჩუმად მოუსმინეს რევოლდს სიტყვა, ხმა არ გასცეს და მხიარულად განაგრძეს სადილი. მაგრამ არ გასულა ერთი კვირა, რომ უბედურება უბედურებაზედ დაატყდა რევოლდს. უპირველეს ყოვლისა უკვალოდ დაიკარგა იმისი მოსამსახურე, რომელმაც რევოლდის კარგა ბლომა ფული გაიყოლა. ორის დღის შემდეგ რევოლდმა საკუთარის ნავით გასეირნება მოისურვა, მაგრამ შედგა თუ არა ნავში ფეხი, შემთხვევით შენიშნა, რომ ნავის ძირი რამდენსამე ადგილას გახვრეტილი იყო. რევოლდმა ახალი მოსამსახურე აიყვანა, მაგრამ საქმეს არც ამან უშველა. ერთ დილას რევოლდმა თავისი ტანისამოსი შაპიამანში ამოვლებული ჰნახა, მეორედ ვილასაც იმის იადონისთვის თვალები გამოეთხარა, მესამედ ბაღში ხე-ხილი დაეკლიჯათ. მალე ცხენი და ძაღლი გაუხდა ავად და ორივემ სული განუტევა. რევოლდის სახლს ოთხჯერ წაეკიდა ცეცხლი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ გაიგო, ვინ იყო ამის მიზეზი. შეშინებულმა და დავთარ-დაბნეულმა რევოლდმა თავის მეგობარ ჩინელს მიჰმართა მიზეზის გასაგებად და იმან ურჩია, პირველსავე მატარებელზედ დამჯდარიყო და ევროპისაკენ გასდგომოდა გზას. რევოლდმა იმავე საღამოთი აღასრულა ჩინელის რჩევა.

საიდუმლო საზოგადოებათა წევრნი ასევე იყრიან მოხელეების ჯავრსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული დროებით მომატებული აქციზი 16 აგვისტოდგან არის შემოღებული.

*** მალე რუსეთის ყველა რკინის გზებზედ ახალი გარდასახადი იქმნება შემოღებული „წითელის ჯვრის" საზოგადოების სასარგებლოდ. განზრახულია თითოეულს სამგზავრო ბილეთს შაური მეტი შეაწერონ.

*** ტფილისის გუბერნიის საგლეხო სამმართველოს წევრი ბ-ნი ვეიდენბაუმი გუშინ-წინ გორის მაზრაში წავიდა მებატონეებისა და გლეხებს შორის ამტყდარ დავის ადგილობრივ გასარჩევად.

*** მიმდინარე წლის შემოდგომიდგან კავკასიის მეფუტკრეები ფილიალურს განყოფილებას გახსნიან, რომ ამ რიგად საზღვარ-გარეთ თავიანთი ნაწარმოები გაავრცელონ.

*** რკინის გზის მუშებს რომ საშუალება მიეცეთ თავიანთი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილონ, გზათა სამინისტროს განზრახვა თურმე აქვს ათთორმეტ და განსაკუთრებით ადგილობრივ პატივცემულ დღესასწაულების წინა დღეებში მუშაობა ჩვეულებრივზე ორი საათით ადრე შეწყვიტონ ხოლმე, ე. ი. არა უგვიანეს ნაშუადღევის 4 საათისა.

*** სატახტო ქალაქის ზოგიერთს გაზეთებში მოყვანილია მოკლედ ის პროგრამა, რომლითაც ამას იქით ძველს ენებს შეასწავლიან გიმნაზიებში. ლათინურ ენას, როგორც წინადაც, რვა წლის განმავლობაში ასწავლიან. 1 ლ ორ კლასში იქნება ექვს-ექვსი გაკვეთილი, დანარჩენებში ხუთ-ხუთი (გაკვეთილების რიცხვის გამოცვლა შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო წესით). 1-ლ კლასში ასწავლიან ეტიმოლოგიას სიტყვის იმ ნაწილებისას, რომელნიც მიმოიხვრიან ბრუნვით. მეორე კლასში—ზმნას, მესამეში—მარტივი წინადადების სინტაქსის უმთავრესს წესებს, მეოთხეში—რთული წინადადების სინტაქსს. უფროსს კლასებში გრამატიკას ასწავლიან გზა და გზა ავტორების კითხვისა და გარჩევის დროს. საკითხავ ავტორებად არჩეულია ცეზარი (Commentarii de bello gallico), კორნელი ნეპოტი; სალლუსტი, ოვიდის მეტამორფოზი, ციცერონი, ლივიუსი, ვირგილიის ენეიდა, ჰორაციუსი და ტაციტი.

ბერძნულ ენის გაკვეთილი იქნება მესამე კლასში ოთხი, მეოთხეში—5 და დანარჩენებში ექვს-ექვსი. საკითხავად დანიშნულია: ქსენოფონტი (ანაბაზისი და კიროპედია), ჰომეროსი, ჰეროდოტე, პლატონი და სოფოკლი. ძველის ენების სწავლების მიზანი არისო—ამბობს გეგმასთან ერთად გამოქვეყნებული სამინისტროს განმარტება—რომ მოსწავლეებმა იქონიონ ნამდვილი და ცხადი წარმოდგენა წაკითხულ ავტორების შესახებ და შეიძლონ დაუხმარებლად წაიკითხონ ადვილი (ენითა და შინაარსით) ადგილები ძველის ისტორიკოსებისა და ჰომეროსის ნაწერებიდგან. გრამატიკა და წერა ძველის ენებიდგან (რუსულად და რუსულიდგან ძველს ენებზედ თარგმნა) მხოლოდ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. გრამატიკის პირველდაწყებითი კურსი უნდა შესდგებოდეს სულ მარტივ და უსაჭიროეს მოვლინებიდგან, რომელიც მოსწავლეებმა იმდენად უნდა შეითვისონ, რომ შეიძლონ შინაარსიანი და მარტივად დაწერილი ტექსტი გაიგონ. თარგმნას რუსულიდგან გრამატიკულ წესების ახსნისა და ახსნილის შეთვისების რევიზიის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. რაც უნდა იყოს, extemporalia ცოტა და იშვიათი უნდა იყოს და განსაკუთრებით უმცროსს კლასებში ძველ ენებიდგან სათარგმნელი ადგილები მარტივი და მოსწავლის მომზადების შესაფერი უნდა იქმნეს. მაგრამ ამგვარი წერითი ვარჯიშობაც იშვიათი და პატარ-პატარა უნდა იქმნეს.

*** ხუთშაბათს, 17 აგვისტოს, ქალაქის გამგეობის სხდომაზედ გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა განაცხადა, რომ ქალაქის საბჭოს ამა 1900 წ. 12 ივნისის დადგენილების თანახმად, ლოტკის გორაზედ ქალაქის თავისუფალი მიწები მთხოვნელთა შორის უნდა იქმნას განაწილებულიო. ამას წინად გამგეობამ გაზეთების შემწეობით გამოაცხადა, ვის შეუძლიან ლოტკის გორაზედ მიწის აღება იჯარით. თხოვნა სულ 93 კაცს შეუტანია. ამათგან 7 ქალაქზედ ყოფილა მიწერილი, 24 თუმცა არა ყოფილა მიწერილი, მაგრამ ხუთი წელიწადი უცხოვრიათ ქალაქში; 62 კაცს არავითარი საბუთი არ წარუდგენია. გამგეობამ, განიხილა-რა ეს საქმე, დაადგინა გაანაწილოს კენჭის ყრით ლოტკის გორის თავისუფალი მიწები 31 კაცს შორის, რომელთაც წარადგინეს საბუთები თავისს უფლებებისა, ხოლო დანარჩენ მთხოვნელთ მაშინ დაუთმონ მიწა საიჯაროდ, როდესაც იგინი გამგეობაში ჯეროვანს საბუთებს წარადგენენ. ადგილების გასანაწილებლად კენჭის ყრა უნდა მოხდეს იმ მთხოვნელთა თანადასწრებით, რომელნიც ერთის დღის წინ გამოცხადდებიან.

*** ოთხშაბათს, 17 აგვისტოს, ქალაქის გამგეობას წარუდგინა განსახილველად გამგეობის წევრმა ბ-ნ მ.ს. შესტაკოვმა წყალში განსაცდელისაგან რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების ტფილისის განყოფილების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქმა ყოველ წელიწადს 320 მანეთის მაგიერ 500 მანეთით აღმოუჩინოს შემწეობა. გამგეობამ, მიიღო რა სახეში ამ საზოგადოების სასარგებლო მოღვაწეობა, დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას ქალაქის საბჭოს წინაშე, რომ ყოველ წლობით მიეცეს საზოგადოებას ქალაქის საშუალებიდგან 500 მანეთი.

*** ორშაბათს, 15 აგვისტოს, ტფილისში ჩამოვიდა ტფილისის სახაზინო პალატის მმართველი ი. ვ. ვერეტენნიკოვი.

*** ნავთი და ნავთის სხვა და სხვა გვარი ნაწარმოები წარსულს 1899 წელს 294 მილიონი ფუთი გაუტანიათ რკინის გზით. გზათა სამინისტროს განსაკუთრებული წესები შეუმუშავებია იმისათვის, რომ აღნიშნულ საქონლის რკინის გზით ადვილადა და სწრაფად გადაზიდვას ხელი შეუწყოს.

*** როგორც სატახტო გაზეთები იტყობინებიან, სათანადო მთავრობას განზრახვა თურმე აქვს კავკასიის საცენზურო კომიტეტში ცვლილება მოახდინოს. ბაქოსა, ბათუმსა და კავკავში, სადაც ეხლა ცენზორის თანამდებობას ადმინისტრაციის წარმომადგენელი ასრულებს, დაინიშნებიან თავ-თავისი ცენზორები, ადმინისტრაციისაგან სრულიად დამოუკიდებლები.

*** ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-მაიორ გერშელმანს ბრძანება გაუცია, რომ მაზრისა და ქალაქის პოლიციის სამოქალაქო სამსახურის წარმომადგენელთ ყოვლად დადგენილი ფორმის ტანისამოსი ატარონ ხოლმე. მიზეზი ამ ბრძანებისა ის გარამოება თურმეა, რომ ბევრი მათგანი დღემდის სრულიად სხვა ფორმის ტანისამოსს ატარებდა.

*** ტფილისის გუბერნიის ყველა კუთხიდგან ამ ბოლოს დროს დიდს სიგრილეს უჩივიან.

*** ტფილისის გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს დღეს, 19 აგვისტოს, გუბერნატორის მოადგილის კ. კ. სტეფანოვიჩის თავმჯდომარეობით სხდომა ექმნება, რომელზედაც, სხვათა შორის, განიხილვენ: ქალაქის საბჭოს დადგენილებას „გელიოსის" ფირმასთან ხელშეკრულობის დადების შესახებ, ტფილისის ვაჭართა არჩევნებს, იმას, თუ ქალაქის ნავით სატივესთან მტკვარში გაყვანაზედ რა უნდა აიღონ, ღორის ხორცის გამოკვლევაში ქალაქის საყასბომ რა უნდა გადაახდევინოს და სხვა.

*** როგორც იტყობინებიან, გუმბრში (ალექსანდროპოლი) რეალურ სასწავლებლის გახსნას საერო განათლების სამინისტრო თანაგრძნობით შეჰხვდებია. გუმბრის შუამდგომლობას ამ საგნის შესახებ სამინისტრო მაშინვე განიხილავს, როგორც-კი კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ჩამოვა პეტერბურგშიო.

*** ხუთშაბათს, 18 აგვისტოს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ განიხილა საქმე ტფილისის მაზრის სოფ. ქიზშირ-დულის გლეხის ივანე დავითის ძის დალაქიშვილისა, რომელსაც ღვთის გმობა ჰბრალდებოდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ივანე დალაქიშვილი და დაადგინა, დაპატიმრებულ იქმნეს იგი მეტეხის საპყრობილეში ორის თვით.

*** სამშაბათს, 15 აგვისტოს, პოლიციის მე-9 ნაწილში გამოაცხადა წყალში განსაცდელისაგან გადამრჩენ სადგურის მოსამსახურე ნიკოლოზ ბაკუნოვმა, რომ მე, მიხეილ პოპოვი, გაბრიელ გრიგორიევი, მიხეილ ანდრეევი, ვასილ იგნატიევი და ნიკოლოზ ლუცენკო ჩავსხედით ნავში წყლის მეორე ნაპირზედ გადასასვლელად. წყალში ნავი გადაგვიბრუნდა, ხუთმა მოახერხა ნაპირზედ გაცურვა, ხოლო ერთი, ნიკოლოზ პოპოვი დაიხრჩო. დამხრჩვალის გვამი ჯერაც ვერ უპოვნიათ.

*** პოლიციის მე-7 ნაწილში, სამშაბათს, 16 აგვისტოს, საღამოს 5 საათზედ, გოგილოს აბანოს ახლო მტკვარში ჩასულა საბანაოდ 15 წლის ყმაწვილი სახელად ვილაც არუთინა, რომელიც გაუფრთხილებლობის გამო წყალმა სიღრმეში ჩაითრია და დაახრჩო. პოლიცია უკვე შეუდგა გამოძიებას დამხრჩვალის ვინაობის აღმოსაჩენად. დამხრჩვალის გვამი აქამდე ვერ აღმოუჩენიათ.

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მესამე მორიგი კრება.

2 აგვისტო

თავმჯდომარემ წაიკითხა მინისტრისაგან მიღებულ დეპეშა, რომლითაც კრებას ნება ეძლევა იქონიოს სჯა სამის საგნის შესახებ: დაბალ

---

ერთხელ ერთ მანდარინს საიდუმლო საზოგადოების წევრნი დაუპატიმრებიათ. მეორე დღეს ეს მანდარინი თავისსავე საწოლ ოთახში მოკლული უნახავთ.

***

ჩინეთში ქალებს ძალიან ადრე ათხოვებენ, ხშირად რვა-ცხრა წლის ქალი უკვე დანიშნულია. ბევრჯელ დანიშნულნი ჯვრის წერამდე ერთმანეთს ვერც-კი იცნობენ ხოლმე. მაგრამ ასეთი წესი ჩრდილოეთ ჩინეთშია მიღებული, სამხრეთში-კი უფრო მეტი თავისუფლებაა გათხოვებისა და ცოლის შერთვის დროს. აი, სხვათა შორის, რას მოგვითხრობს ერთი მოგზაური.

სამხრეთ ჩინეთში ხშირად იკრიბებიან ხოლმე დროს გასატარებლად ახალგაზდა ქალები და კაცები. ახალგაზდები უმთავრესად იმით ერთობიან, რომ ერთმანეთს პატარა, ბამბისაგან გაკეთებულ ბურთს ესვრიან. ასეთს ბურთს ჩინეთში „სიყვარულის ბურთს" ეძახიან. თამაშობის დროს ამგვარის ბურთის სროლას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ბურთის სროლას აზრი და მნიშვნელობა მხოლოდ ახალწლის დღესასწაულების დროსა აქვს. ამ დღესასწაულებზედ ქალი ხშირად ესვრის ბურთს ყმაწვილ კაცს და ამით აგებინებს, მიყვარხარ და მსურს მოგთხოვდეო. თუ ყმაწვილი, რომელსაც ქალი ბურთს ესვრის, სცდილობს იმის დაჭერას, მაშინ აშკარაა, ყმაწვილსაც მოსწონს ქალი. თუ პირ-იქით ყმაწვილმა ყურადღება არ მიაქცია ბურთს, მაშინ ქალმა თანაგრძნობის ყოველივე იმედი უნდა დაჰკარგოს და თავისის ბურთით სხვას მიჰმართოს ბედის საცდელად.

როგორცა ვთქვით, სხვა დროს „სიყვარულის ბურთი" უბრალო სათამაშოს შეადგენს და ეს თამაშობა ძალიანა ჰგავს „ფანტს". ერთი გაისვრის ბურთს, მეორემ უნდა დაიჭიროს, თუ არ დაიჭირა, „ფანტს" გამოართმევენ.

***

ჩინეთში დასაფლავების დროს უფრო დიდი ამბებია ხოლმე, ვიდრე ქორწილის დროს. როდესაც მდიდარი კაცი კვდება, ჩვეულებისამებრ, იმის ტანისამოსს მათხოვრებს ურიგებენ, რომელნიც იქვე კუბოს მისდევენ და სიხარულით ათვალიერებენ ნაჩუქარ ტანისამოსს. დასაფლავების დროს მგლოვიარებს თეთრი ტანისამოსი აცვიათ. თეთრი ფერი ჩინეთში სამგლოვიარო ფერია.

ჩინეთში ერთი საზარელი ჩვეულება არსებობს: დედ-მამას სრული უფლება აქვს თავისი ურჩი შვილი ცოცხლად დამარხოს. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ასეთის უფლებით ჩინელი იშვიათად სარგებლობს, ეგრე ადვილად თავისს ღვიძლ შვილს ვერ გაიმეტებს და ცოცხლად ვერ დამარხავს; მართლაცა და მთელს ჩინეთის იმპერიაში ათასში ერთხელ თუ მოხდება ხოლმე, რომ დედ-მამამ შვილი გაიმეტოს და ცოცხლად დამარხოს, მაგრამ ჩინეთში მარტო შვილებს არ მარხვენ ცოცხლად, ზოგჯერ შვილები მოხუცებულ დედას, ან მამასაც არ ინდობენ. აი რას გად მოგვცემს ერთი მოგზაური.

ლიან-ჩვანგში სცხოვრობდა თურმე 70 წლის მოხუცი. მოხუცი მეტად დაუძლურებული იყო, მუშაობა აღარ შეეძლო და მძიმე ტვირთად აწვა ხელ-მოკლე ოჯახს. შვილებმა და შვილის-შვილებმა გადასწყვიტეს როგორმე მოიშორონ მოხუცი თავიდგან. პირდაპირ მოკვლა არ შეეძლოთ: ჩინეთში მამის მოკვლა უდიდეს დანაშაულობად ითვლება. ამიტომ შვილებმა სხვა ხერხს მიჰმართეს. პირველად მათ მშვენიერი კუბო იყიდეს. კუბო მოხუც მამისა და დედისათვის საუკეთესო საჩუქრად ითვლება ჩინეთში. მოხუცი აღტაცებაში მოვიდა, როდესაც კოხტა და კარგად შეღებილი კუბო დაინახა. კუბოს მირთმევისას უფროსმა შვილმა ამ სიტყვით მიჰმართა მოხუცს: „მამავ, უკეთეს იზამ, სიკვდილს არ დაუცადო, ეხლავე ჩაწვე კუბოში და დასაფლავების ნება მოგვცე. ნახევარის წლის შემდეგ შეიძლება ფერი გადმოცვალოს კუბოს და ასეთი კარგი აღარ იყოსო."

მოხუცს პირველ ხანს არ ეჭაშნიკა ასეთი წინადადება. უფროსმა შვილმა მაინც განაგრძო: „დიდის ამბით დაგასაფლავებთ. სახეში იქონიე, რომ ამ დასაფლავებაში თვით შენც მიიღებ მონაწილეობას". ეს-კი ცოტა არ იყოს მოეწონა მოხუცს. „ხომ სულ ერთია,—არ იშლიდა თავისას უფროსი შვილი,—მალე უნდა მოკვდე, შეიძლება 5—10 დღის შემდეგაც, და მაშინ თვითონ ვეღარა ნახავ დასაფლავებას. ამას გარდა შეიძლება ცეცხლიც გაჩნდეს და შენი კუბო დაიწვას. ხომ იცი, ღარიბები ვართ, მეორე კუბოს ვეღარ ვიყიდით". ამ საბუთებმა საბოლოოდ იმოქმედა მოხუცზედ: იგი სიამოვნებით დასთანხმდა ცოცხლად დამარხვას.

დანიშნეს დასაფლავების დღე, ხოლო როდესაც ეს დღე დადგა, მიიწვიეს ნათესავნი, მეგობარნი და ნაცნობნი და მშვენიერი ნადიმი გამართეს. თვით დასამარხავად განმზადებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ ნადიმში. ნადიმის გათავების შემდეგ სამგლოვიარო პროცესია სასაფლაოსაკენ გაემართა. წინ მემუსიკენი მიდიოდნენ, მერე მოხუცის შვილები და შვილის-შვილები. შემდეგ რვა კაცს ცარიელი კუბო მიჰქონდათ, რომელსაც ცოცხალი მიცვალებული მისდევდა. სასაფლაოზედ კუბოს თავი აჰხადეს და მოხუცი თავისთავად, სხვათა დაუხმარებლად, ჩაწვა შიგ. ამ დროს შვილებმა ერთი ტირილი და კვითინი ასტეხეს. მალე კუბო საფლავში ჩაუშვეს და მიწა მიაყარეს. ასე მოიშორეს თავიდგან უსარგებლო მოხუცი მოხერხებულმა შვილებმაო, დასძენს მოგზაური.

***

წინა ფელეტონიდგან მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ჩინეთში თავის-მკვლელობა ძალიან არის გავრცელებული. მრავალ საყურადღებო ცნობას გადმოგვცემს ამის შესახებ მატინიონი, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა ჩინეთში. ჩინელი სიკვდილს არაფრად არ აგდებს: თავის მოკვლა ან სასიკვდილოდ თავის განწირვა ჩინელისათვის სულ უბრალო საქმეა. ძალიან ხშირად ისინი, ვისაც სიკვდილით დასჯა აქვს გადაწყვეტილი, თავიანთ მაგიერ დასასჯელად სხვებსა ჰგზავნიან: ფულის გულისთვის ღარიბი ჩინელი ადვილად დასთანხმდება სხვის მაგიერ ჩამოხრჩობას. რასაკვირველია ამ ფულს თვითონ ვეღარ გამოიყენებს, მაგრამ სამაგიეროდ ღარიბი ოჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამთო სასწავლებლის გახსნის შესახებ, სად უნდა იყოს კრების საბჭოს ბინა და სესხის შოვნის შესახებ.

გ. ა. აბაშიძე. წრევანდელი ჩვენი კრება საყურადღებოა არა მარტო შავი-ქვის მრეწველთათვის, არამედ მთელის გუბერნიის მცხოვრებთათვის. მე როგორც ვხედავ, შეიძლება მთელი ჩვენი ნაშრომი უსარგებლოდ დარჩეს, რადგან კითხვების გადაწყვეტას შევუდექით და ჯერ კიდევ ვექილობები შემოწმებულნი არ არიან. მე გთხოვთ, დაჩქაროდ მათი შემოწმება, რომ არავის საბუთი არ მიეცეს განასაჩივროს ჩვენი გარდაწყვეტილება.

შემდეგ წაიკითხეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიერ გამოგზავნილი ქაღალდი, რომლითაც იგი სთხოვს კრებას, ჯამაგირი მოუმატოს სამრეწველო ბოქაულს. კრებამ ეს თხოვნა ვერ დააკმაყოფილა.

თავმჯდომარემ აღძრა ლაპარაკი: სად იყოს საბჭო: ქუთაისში, თუ ჭიათურაში.

საბჭოს მოწინააღმდეგე მხარეზე ჰყვირიან: ჭიათურაში! ჭიათურაში! აქა-იქ ისმის: ფოთში! ფოთში!

ქვარიანი ს. ა. რადგან ჭიათურა შავი-ქვის მრეწველობის შუაგულია, სასურველია საბჭოს ბინადრობა ჰქონდეს ჭიათურაში, აქამდის საბჭო წარმოადგენდა კანცელიარიულს დაწესებულებას, ეხლა ჩვენ გვსურს გადავაქციოთ ცოცხალ ორგანოდ, რომ ყველას ჰქონდეს ადვილი მისვლა-მოსვლა მასთან.

ბაქრაძე გ. დ. რადგან მთელი გუბერნიის დაწესებულება, რომლებთანაც ჩვენ საქმეები გვაქვს, ქუთაისშია, უმჯობესი იქნება საბჭო დარჩეს ქუთაისში, ხოლო ჭიათურაში გაიხსნას განყოფილება.

თ. თუმანიშვილი ზ. ა. რა ვალდებულება აქვს საბჭოს ჩვენს წინაშე და ამ მოვალეობის ასრულება სად უფრო ადვილად შეუძლიან შეასრულოს? ყველა ეს მოვალეობანი აღნიშნულია წესდების 23 §-ში. საქმე მაშინ უფრო ადვილად კეთდება, როცა ჩვენს წარმომადგენელს ექნება საშუალება პირადად მოელაპარაკოს სხვა და სხვა დაწესებულების უფროსებს, რომელთანაც ჩვენს კრებას დამოკიდებულება აქვს. ამის გამო მე ვამჯობინებ, რომ საბჭო ტფილისში იყოს და კიდევ უფრო უმჯობესი იქნებოდა, რომ იგი პეტერბურგში იმყოფებოდეს. ბ-ნი ზდანოვიჩი კითხულობს წესდების მე-23 §.

ჟღენტი კ. დ. აქ მოყვანილი საბუთები საფუძვლიანი იქნებოდა იმ შემთხვევაში, ჭიათურაში რომ არა გვქონდეს ტელეგრაფი, რკინის გზა, ფოსტა, მაგრამ ყველაფერი ეს გვაქვს, მაშასადამე ჩვენს წარმომადგენელს ადვილად შეუძლიან მიწერ-მოწერაც და მისვლა-მოსვლაც.

ჭიჭინაძე ზ. (ექიმი). ჩემის აზრით, საბჭოს მოვალეობა სხვა-და-სხვა შუამდგომლობის აღძვრაა: ამისთანა მოვალეობის ასრულება ყველგან შეიძლება: ჭიათურაშიაც და სხვაგანაც. ხოლო საბჭოს მეორე ნაირი მოვალეობაცა აქვს, ეს სამეურნეო ნაწილია, რომლისათვის ჯერ არაფერი არ გაკეთებულა. ეხლა ეს მოქმედება ფართოვდება და მისის ასრულებისათვის უმჯობესია საბჭო ჭიათურაში იყოს.

ფირცხალავა ს. გ. საბჭოს ანგარიშიდგან სჩანს, რომ მისი მოქმედება ყოფილა შუამავლობა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წინაშე, რომელნიც ზოგი ტფილისშია და ზოგი პეტერბურგს. ამიტომაც საბჭო უნდა იყოს ან ტფილისში, ან პეტერბურგში, მაგრამ ეს შეუძლებელია. მაშ უმჯობესი იქნება ჭიათურაში იყოს, ხოლო ქუთაისის შესახებ ლაპარაკიც შეუძლებელია.

დორთქიფანიძე ია. გ. მე მსურს საბუთები დაასახელონ, რატომ იქნება უმჯობესი საბჭოს ბინის გადატანა ჭიათურაში?

თავმჯდომარე. საბუთები ქვარიანმა დაასახელა.

მოსეშვილი ბარ. საბჭომ ყოველ წელიწადს უნდა ჰბეჭდოს თავისი ანგარიში და ჭიათურაში-კი სტამბა არ არის; ფული არის შესანახი და იქ ბანკი არ არსებობს, ასისა და ორასი მანეთისათვის ყოველთვის ქუთაისს ხომ ვერ ირბენს; სასწავლებლის დაარსება გვინდა და მასწავლებლების შოვნა გაგვიჭირდება და სხვა მრავალი მიზეზი გვაიძულებს, რომ საბჭო ქუთაისში იყოს და არა ჭიათურაში.

თავმჯდომარე. რადგან ამ საკითხმა კრებაში უთანხმოება გამოიწვია, ამის გადაწყვეტა გადავდე ვექილობების შემოწმებამდის. ახლა შევუდგეთ მეორე საკითხის გადაწყვეტას—სამთო სკოლის დაარსებას.

გ. ფ. ზდანოვიჩი კითხულობს მოხსენებას, რომელშიაც ის დედა-აზრია გატარებული, რომ შავი-ქვის მრეწველთა საქმის რიგიან წასაყვანად ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი არის დაარსება სამთო სასწავლებლისა, რომელშიაც შეიძლებენ შესვლას სამოქალაქო სკოლაში სწავლა-დამთავრებულნი, სათავად-აზნაურო სკოლის და პროგიმნაზიის მოსწავლენი. ხოლო წლიური ხარჯი ამ სასწავლებლისა არ უნდა აღემატებოდეს ხუთი ათას მანეთს.

თავმჯდომარე. კანონს შეუძლიან შავი-ქვის მრეწველნი ვალდებულნი გახადოს, იქონიონ სამთო სასწავლებელი.

წერეთელი ა. გ. უხსნის საზოგადოებას, სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონების მინისტრი ვალდებულ ჰხდის სამთო მრეწველთ, რომ მადნებზედ იყოლიონ სპეციალისტები. ამ განკარგულების ასრულება ჯერ ხანობით შეჩერებულია სამთო მრეწველთა ერთის ნაწილის თხოვნის გამო, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ მალე გახდება სავალდებულო კავკასიაში.

ემერიკი გ. გ. რადგან ამისთანა დიდს კრებაში მაგისთანა საკითხის გადაწყვეტა ძნელია, მით უმეტეს, რომ ეს საქმე სულ ახალია, მე ვფიქრობ, უმჯობესი იქნება კომისია ამოვირჩიოთ, რომელიც მოიწვევს სამთო გამგეობის წევრთ და ასეთი შეერთებული კომისია შეიმუშავებს სკოლის პროგრამმას და საჭირო ხარჯს და შემუშავებულს პროექტს წარუდგენს საბჭოს სისრულეში მოსაყვანად.

კრება დაეთანხმა ბ-ნ ემერიკს და კომისიის წევრებად ამოირჩიეს ბ-ნი ემერიკი, თ. ს. წერეთელი და გ. ზ. ლოლობერიძე.

კრება შეწყვეტილ იქმნა ხუთის წამით.

## წერილი გურიიდან.

დაბა ნაგომარში ეგრედ წოდებულ „მარინობის“ ბაზრობაზედ ბ-ნთ ქუთათელაძისა და ახალაძის თაოსნობით 23—24 ივლისს გამართულ იქმნა სამეურნეო გამოფენა. იმას და მიუხედავად, რომ გამოფენას ერთობ შინაურული და დაჩქარებული ხასიათი ჰქონდა, ეს გარემოება მაინც სასიამოვნოდ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდგან გამოფენა ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია მეურნეობის განვითარებისათვის... ექსპონატთა რიცხვი ძალზედ მცირე და რაც იყო, იმასაც ჩვეულებრივი ადგილობრივის ჯიშის ხასიათი ჰქონდა. ყურადღებას იქცევდა „შუამავალის“ სხვა და სხვა ფერის აბრეშუმეული სუფთა ნაქსოვები, შალები და ზარები. შემდეგ გერმა ექსპონენტებმა სუფთად ჩამოსხმული სხვა და სხვა ფერის თაფლის სანთლის კვერები, თაფლი, სანთლის სუნნელოვანი არაყი, ჩხვრის ჭაჭა; ბოსტნეულობა: ბოლოკი, ჭარხალი, სტაფილო, ბადრიჯანი, პამიდორი, კომბოსტო, ხაპა; ხილეულობა: ვაშლი, მსხალი, ქლიავი, თხილი, ბაღის მცენარეობის სხვა და სხვა ნიმუშები და სხვანი. საზოგადოდ ექსპონატთა შორის ერთიც არ ერია ისეთი, რომელიც თავისის სიუცხოვით და ჯიშის სიკარგით შესანიშნავი და ღირს საყურადღებო ყოფილიყო.

გამოფენის დასასრულ ბ-ნ ექსპონენტთა თანადასწრებით მოხდენილ იქმნა „საპრემიო ექსპერტიზა“, რომელსაც, უნდა გამოვტყდე, ერთობ კურიოზული ხასიათი დაურჩა. მაგ. ექსპონენტს, რომლის ექსპონატს შეადგენდა მხოლოდ ჩვეულებრივი ლობიო, პამიდორი, ბადრიჯანი და ბოლოკი, მიანიჭეს პატარა ვერცხლის მედალი იმ მოსაზრებით, რომ ახალი დაწყებულიაო. იმ ექსპონენტს-კი, რომელსაც 150-მდე სხვა და სხვა ბაღის მცენარეულების ნიმუშები წარუდგინა, ხანგრძლივის ნაყოფიერის შრომის ჯილდოთ მიუსაჯეს მხოლოდ თითბრის მედალი.

ორიოდე სიტყვაც ბ. ახალაძის მოხსენებისა და მისგან გამოწვეულ კითხვების შესახებ. ბ. ახალაძე თავისს მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ გურიაში სასოფლო მეურნეობამ ერთობ უკან დაიწიაო და საჭიროა მისდა გამოსაბრუნებლად რაიმე ღონისძიება ვიხმაროთო. კრებამ, რომელიც, სხვათა შორის, ნასწავლ ექსპონენტებიდგანაც შესდგებოდა, მცირე კამათისა და კითხვების ზეზეურად განხილვის შემდეგ, გარდასწყვიტა: იშუამდგომლოს მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე, რომ ოზურგეთის მაზრაში, სადაც უნდა იყოს, დაარსებულ იქმნას ერთი დაბალი ტიპის სამეურნეო სკოლა.

უნდა მოვახსენო პატივცემულს კრებას, რომ სოფლის ნიადაგ მოშლილ მეურნეობის აღსადგენად სამეურნეო სკოლა ძვირფასი რეცეპტია, თუმცა მე სკოლის წინააღმდეგი სრულიადაც არა ვარ. თუმცა ჯერ ერთი მაგალითიც არ ვიცი, რომ წვრილი მემამულე (ნეტა რა მემამულე უნდა ვუწოდოთ ერთი თვალის სიფართე გახრიოკებულ მიწის პატრონს!), გაღატაკებულის გლეხის ნასწავლი შვილი თავისს კარ-მიდამოს დაჰბრუნებოდეს და საკუთარი, დამოუკიდებელი მუშაობა დაეწყოს. 95% მათგანი აუცილებლად სხვის მემამულე-

---

ფეხზედ დადგება და არა ერთხელ მოიხსენებს მადლობით ასეთის თავგანწირვისათვის დასჯილ წევრს.

ევროპის სახელმწიფონი ხშირად მოსთხოვენ ხოლმე ჩინეთს რომელისამე მოხელის სიკვდილით დასჯას ქრისტიანეთა ცუდად მოპყრობისა ან სხვა მიზეზისათვის. სახელმწიფოთა ასეთ მოთხოვნილებას ჩინეთის მთავრობა ყოველთვის სიხარულით ეგებება ხოლმე, რადგანაც თუ მოხელე თანახმა არ არის დასჯისა, იმის მაგიერობას ამ შემთხვევაში ფულის წყალობით სხვა ვინმე გასწევს, ევროპიელებს-კი ჰგონიათ, მთავრობამ სწორედ მოხელე დასაჯაო.

ჩინელისათვის სულ უბრალო მიზეზია საკმაო, რომ თავი მოიკლას. შურის საძიებლად და ჯავრის ამოსაყრელად თავის მოკვლა საუკეთესო საშუალებად ითვლება ჩინეთში. ლაპარაკში გააჯავრეთ, მაგალითად, ჩინელი; სამაგიეროს იმით გადაგიხდით, რომ თქვენ სახლის წინ თავს ჩამოიხრჩობს. ისეთი კაცი, რომლის გულისთვისაც ჩინელმა თავი მოიკლა, დაუსჯელი ვერაოდეს ვერ გადარჩება. სასამართლო იბარებს ასეთ კაცს, საქმის გამოძიებას იწყობს და, ცამდის რომ მართალიც იყოს, მაინც სასჯელს უნიშნავს. ამიტომ ჩინელი ძალიან ფრთხილად იქცევა და ერიდება, სხვის თავისს მოკვლის მიზეზი არ გახდეს. ხშირად ჩინელები თავისს მოკვლით აშინებენ კიდეც სხვებს. მოგზაური სიმონი ასეთ ამბავს გარდმოგვცემს. ერთხელ ერთ მოგზაურს გზაში ქურდი დახვდა. მგზავრს კალათით სურსათი მიჰქონდა. ქურდმა იქვე მგზავრის წინ მოიკეცა, ამოალაგა კალათიდგან საჭმელი და არხეინად დაუწყო ჭამა.

— ქურდო, რას მერჩი, მომეცი ჩემი კალათა!—შეევედრა მგზავრი.

ქურდმა პასუხის ნაცვლად ჭამას მოუმატა.

— ქურდო!—დაუყვირა მგზავრმა,—თუ კალათას არ მომცემ, ამ საათში, აი ამ გუბეში თავს დავიხრჩობ!

ქურდმა ხელად ჩაალაგა სურსათი კალათაში, მოწიწებით მიართვა კალათა პატრონს და თავის დაკვრით და ბოდიშით განშორდა.

* *

ჩინელებს ძალიან უყვართ ზღაპრები. ამ ფელეტონის დასასრულ, სანიმუშოდ, ერთს ზღაპარს გავაცნობთ მკითხველებს. ამ ზღაპარს სახელად „მაიმუნთა შეცდომა“ ჰქვიან.

„ერთ მუქთად მოხეტიალე კაცს,—ასე იწყობა ეს ზღაპარი,—ბოროტი ცოლი ჰყავდა. ცოლი ყოველ დღე ეჩხუბებოდა ქმარს, რატომ არა მუშაობ და ფულს არა შოულობო. ბოლოს ქმარმა ველარ გაუძლო, თოკს დაავლო ხელი და გადასწყვიტა, ტყეში წავალ და თავს ჩამოვიხრჩობო. ტყეში თოკი უკვე ჩამოჰკიდა ხეზედ, მაგრამ ჩამოსახრჩობად თავი ველარ გაიმეტა და დარცხვენილი უკანვე დაბრუნდა.

— მე მეგონა, არასოდეს აღარ დაბრუნდებოდი, შენ-კი ისევ, ჩემდა საუბედუროდ, აქ გაჩნდი! — მიაძახა ცოლმა.

ამ სიტყვებით უფრო მეტად გამწარებულმა ქმარმა გამოუცხადა, ეხლა-კი ნამდვილად გადავწყვიტე თავი მოვიკლაო.

— რაც ადრე მოიკლავ თავს, უკეთესი იქნებაო!—უთხრა ცოლმა და იმის ცხვირ-წინ კარები მოაბრახუნა. საწყალი ხელ-ახლა გაემართა ტყისაკენ. ბევრი იარა იქ, ხან ერთ ხესთან გაჩერდა, ხან მეორესთან, მაგრამ თავის მოკვლა მაინც ვერ გადასწყვიტა. ბოლოს ერთ მწვანით აბიბინებულ წყალთან მივიდა და ნაპირას, ბუდდას ძეგლის ქვეშ წამოწვა.

შიმშილისა და სიარულისაგან მოქანცულს მალე მიეძინა. მოულოდნელად იმ ადგილას, სადაც კაცს ეძინა, ერთი ბებერი მაიმუნი გაჩნდა. მაიმუნმა აათვალ-ჩაათვალიერა მძინარე, გადასწყვიტა, ეს ნამდვილად ჩვენი წინაპარიაო, და გაეშურა სხვა მაიმუნებთან ამ სასიხარულო ამბის გადასაცემად. მალე მთელი ბრბო მაიმუნებისა გაჩნდა მძინარესთან. მაიმუნებმა გულ-დასმით გასინჯეს მძინარე, დაჰსუნეს, და ბოლოს ერთხმად გადასწყვიტეს, ეს მართლა ჩვენი წინაპარიაო, უნდა წავიყვანოთ და მეფედ დავსვათო. აიყვანეს მძინარე და დიდის ზარითა და ზეიმით თავიანთ საბრძანებელში წაიყვანეს. როდესაც გამოეღვიძა, გაკვირვებულმა თვალი გადაავლო შემოკრებულ მაიმუნებს. იქვე იმისთვის დამზადებული გემრიელი ხილი ეწყო; მშიერმა მადიანად დაუწყო ჭამა ამ ხილს. ამ დღიდგან მაიმუნები ისე ექცეოდნენ კაცს, როგორც ნამდვილ მეფეს. მალე მათ თავიანთი საკუჭნაოებიც უჩვენეს, სადაც მაიმუნებს აუარებელი ქონება ჰქონდათ დამალული.

პირველ ხანს კაცი მხიარულად ატარებდა დროს მაიმუნებს შორის, მაგრამ ბოლოს მაინც მოსწყინდა, იფიქრა, იფიქრა და გადასწყვიტა, ამ მაიმუნების ქონებას ჩავიგდებ ხელში და ისევ სოფელში წავალ საცხოვრებლადაო. მართლაც, როდესაც მაიმუნები სხვაგან იყვნენ, კაცმა გამოალაგა მაიმუნების სიმდიდრე საკუჭნაოდგან, საიდუმლოდ გაიპარა ტყიდგან და შინ მივიდა.

ცოლი პირველად წარბებ შეჭმუხვნილი და გაბრაზებული დახვდა ქმარს, მაგრამ როდესაც სიმდიდრეს თვალი მოჰკრა, ქმარს ალერსი დაუწყო და ისიც-კი უთხრა, მიყვარხარო.

გავიდა რამდენიმე დღე. ყველას უკვირდა, ამ ბოგანო და ღარიბმა კაცმა სად იშოვა ამდენი შეძლებაო. მაგრამ რადგანაც ვერც ერთი დედაკაცი საიდუმლოს ვერ შეინახავს, ამიტომ მალე ყოველივე მეზობელმა ქალმა შეიტყო და გაიგო. ქალმა თავისს ქმარს გადასცა საიდუმლო და უთხრა, შეეხვეწე მეზობელს გასწავლოს როგორ მოიქცა, წადი მერე ტყეში და შენც მოიტანე სიმდიდრეო.

ქმარი ისეც მოიქცა. როდესაც მეზობელმა დაწვრილებით უამბო ყველაფერი, წავიდა ტყეში და სწორედ იმ ხის ქვეშ წამოწვა, სადაც იმის მეზობელს ეძინა. დიდხანს არ მოუხდა ცდა. მალე ერთმა ახალგაზდა მაიმუნმა თვალი მოჰკრა და თავისებთან გაიქცა შესატყობად. შეიკრიბნენ მოხუცებულნი სათათბიროდ. მძინარე კაცი მაიმუნებმა თავიანთ წინაპრად აღარა სცნეს. პირ-იქით განაცხადეს, რომ წინაპარი ისე უსვინდისოდ არ მოგვექცეოდა, როგორც ეს მოგვექცაო, და ხანგრძლივის თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს, რომ მძინარე სასჯელის ღირსიაო. ამის შემდეგ გაბრაზებულმა მაიმუნებმა ხმის ამოღება აღარც-კი დააცადეს კაცს, დაავლეს და ნაკუწ-ნაკუწად აქციეს“.

ი. ა—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მოჯამაგირეთა ხდება. მაშასადამე, სამეურნეო სკოლაც, თქმა არ უნდა, ფაქტიურად მდიდართა და შეძლებულთა სასარგებლოდ იქნება. გლეხისათვის რომ გკითხნათ, ვისი გულით დღეობა გაქვთ სახეში, უეჭველია იტყოდნენ, რომ ყველასიო, მაგრამ მე ურწმუნოს არა მჯერა, რომ იგი სარგებლობას ყველას მოუტანს...

ვისაც ამ მხრივ ხალხისთვის გული შესტკივა, იმათ მე უფრო მარტივს, მოკლე და ნაყოფიერს გზას ვუჩვენებ. აი თუნდა მაგ., შეადგინონ საზოგადოება, რომელმაც იკისროს საუკეთესო პრეისკურანტების ხელმძღვანელობით ბოსტნეულობისა, ხეხილებისა და ვენახის საუკეთესო ჯიშის თესლებისა და ნერგების გამოწერა; შეადგინოს პოპულიარული (ყველასთვის ადვილად გასაგები) დარიგებანი დამყნობისა და მოვლის შესახებ. ყველა ესენი საკმაოდ დაურიგდეს თვითეულ სამამასახლისოს. ამ ნაირად მშრომელს გლეხს პირდაპირ საშუალება მიეცემა თავისს მიწის ერთს ნამცეცა ნაგლეჯს მეტი ნაყოფი გამოაღებინოს. თუ მიჰხვდა დარიგებას (წერა-კითხვა ხომ საკმარისად ბლარაა!) და უცხო ჯიშს შესაფერად მოუარა, ხომ კარგი, თუ წაახდინა და ისე მაინც არ გააოხრებს, რომ შინაურს ჩვეულებრივს ჯიშს არ ემჯობინოს. საუკეთესო და სასიამოვნო ნაყოფი ამ ნაირის მოქმედებისა ის იქნება, რომ ჩამომხმარს, მკალ-ტყავა გლეხს ცოტა მეტი მაუქანი და გემრიელი სადილი ექნება. რაც შეეხება მისს გაცინცინატებას, ე. ი. სოფლის მეურნეობის ისე გაფართოებასა და გაძლიერებას, რომ გლეხი თითონაც გამოძღეს და გასაყიდადაც გადაინარჩუნოს, რომ შემოსავლით სხვა მრავალი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს, ამისთვის საჭიროა ოთხი რამ: მიწა, ფული, სამეურნეო იარაღები და ბაზარი. და ვისაც ესენი არ მოეპოვება, იმას ვერც რეცეპტები უშველის... მაგრამ იქნება ზოგიერთა გვერდო ინტერესების სახელით ჰღვრიდეს ნაინგის ცრემლებს? ეს კი სულ სხვა ანგარიშია!...

P. S. დ. ხიდისთავი. აქ შესდგა საზოგადოება ასი წევრისაგან, რომელმაც ხიდისთავსა და ოზურგეთს შუა დილიჟანით მიმოსვლა გამართა. აგერ ერთი თვეა, რაც დილიჟანი გამგეობის ხელშია, მაგრამ გამგეობა, რომელიც 3—4 წევრისაგან შესდგება, ყოველნაირს კონტროლსა და წესიერებას მოკლებულია. მაგ., არ არსებობს დანომრილი ბილეთები, სამაგიეროდ გამგეობის რომელიმე წევრთაგანი დილის ხნის ჩვევნის შემდეგ, თუ კარგ გუნებაზედ იქნა, თავისს „ვიზიტნი კარტოჩკას" გაგატანს „იზვოშჩიკთან", მაგრამ ვინიცობაა თქვენთან ვინმე მისმა ნათესავმა ან ნათლიამ წაბრძანება მოისურვა, მაშინ, თუნდ წევრიც ბრძანდებოდეთ საზოგადოებისა, ყოველის უბოდიშოთ ძირს გადმოგაბრძანებენ. და ასე.. „სანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გაამძვრესო"; სანამ საზოგადოების კრება შესდგებოდეს, გამგეობა საკმაოდ ინადირებს...

Canaille

## უცხოეთი

ჩინეთი. პეტერბურგში მყოფ ჩინეთის ელჩს იანგ-იუს დიდ წერილი გაუგზავნია ჩინეთის საქმეების შესახებ ბარონ სუტნერისათვის. ეს წერილი მეტად საყურადღებოა, დაბეჭდილი იყო იგი ავსტრიულ გაზეთ „Neue Freie Presse"-ში. აი, სხვათა შორის, რასა სწერს ელჩი: „სამწუხარო ამბები, რომელნიც ეხლა ჩინეთში ხდება, მაიძულებს ჩემი ყურადღება მივაპყრო იმათ, ვინც დედა-მიწაზედ მშვიდობიანობის დამყარებას არიან მოწადინებულნი. მე მრწამს, რომ მცირე გუნდი მშვიდობიანობის მოყვარეთა ბოლოს მაინც გაიმარჯვებს, და მოვა დრო, როდესაც ზარბაზნებისა და თოფების ადგილს სხვა უფრო სასარგებლო იარაღი დაიჭერს.

„როგორც სამსახურისა გამო, ისე სწავლა-ცოდნის შესაძენად ბევრგან მომისვლია ყოფნა, დავიარე შეერთებული შტატები, პერუ და ამერიკის სხვა სახელმწიფოები, ვიყავი აგრეთვე ავსტრო-უნგრეთისა, გერმანიისა, ინგლისისა, ესპანიისა, საფრანგეთისა, ჰოლანდიისა, იაპონიისა და რუსეთში. ყველგან, სადაც-კი ბედმა მარგუნა ყოფნა, ვაკვირდებოდი ხალხის ზნე-ჩვეულებას, ვსწავლობდი იმას, თუ რა მდგომარეობაშია ვაჭრობა, მეურნეობა. ბევრი, ძალიან ბევრი ხალხი ამ სახელმწიფოებში დიდ წარმატებას ელარსა, მაგრამ,—ნება მომეცით გულ-ახდით გამოვთქვა ჩემი აზრი,—ხალხთა ერთმანეთის მტრობა და შური შესამჩნევად აბრკოლებს წინმსვლელობის საქმეს და გარეშე გაცზედაც ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. მე მხოლოდ ერთს ვისურვებ: რომ სხვა და სხვა ხალხს დაევიწყოს ყველა ის, რაც მათ აშორებს და აცალკევებს; მხოლოდ მაშინ შეიძლება ამ ქვეყნად მშვიდობიანობა დამყარდეს.

„რაც შეეხება ჩინეთს, აწინდელი სამწუხარო ამბები შედეგია ერთმანეთის გაუგებლობისა. მე დარწმუნებული ვარ, არც ერთს სახელმწიფოს არ უნდა ჩინეთის დანაწილება და დამდაბლება. საქმეს ასეთი მიმართულება ჩინეთის მოხელეთა დაუდევრობის და იმ დასის წყალობით მიიღო, რომელიც სამხედრო სახელის მოპოვებასაა მოწადინებული. დროა ამ უთანხმოებასა და გაუგებრობას ბოლო მოეღოს. პირველი მიზეზი, რამაც აწინდელი კრიზისი მოამზადა, ის სიძულვილია, რომლითაც ჩინელები მისიონერებს უყურებენ. რასაკვირველია მისიონერების სურვილი,—გაავრცელონ ქრისტიანობა და სწავლა ცოდნა, თავის-თავად კარგი და საქებური საქმეა, მაგრამ ავიწყდებათ ის, რომ ჩინელებს არაფრის გულისთვის არ უნდათ ხელი აიღონ თვიანთ, მამა-პაპათაგან გადმოცემულ სარწმუნოებაზედ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მისიონერები მხოლოდ ფულის შემწეობით ახერხებენ ქრისტიანობის გავრცელებას, ისიც უმთავრესად უპატიოსნო, ჩინელთა მიერ განდევნილ, კაცებს შორის".

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრეფილი ამბები)

ერთ გაზეთში დაბეჭდილია საყურადღებო ცნობები მეფეთა და მბრძანებელთა შესახებ. სხვათა შორის ცნობები იმასაც გადმოგვცემენ, ვინ რამდენის წლისაა. აი ეს ცნობები:

| | | |
|---|---|---|
| ლეო XIII, რომის პაპი . . | 90 | წლ. |
| ქრისტიანე IX, დანიის მეფე . | 82 | „ |
| ვიქტორია, ინგლისის დედოფალი | 81 | „ |
| ოსკარ, შვეციის მეფე . . . | 71 | „ |
| ფრანც იოსები, ავსტრიის იმპერატორი . . . . . . | 70 | „ |
| ლეოპოლდ II, ბელგიის მეფე. | 65 | „ |
| ემილ ლუბე, საფრანგეთის პრეზიდენტი. . . . . . | 62 | „ |
| კარლოს I, პორტუგალიის მეფე | 61 | „ |
| კარლოს I, რუმინიის მეფე . | 61 | „ |
| ნიკოლოზ I, ჩერნოგორიის მთავარი . . . . . . | 69 | „ |
| აბდულ-ჰამიდ II, ოსმალეთის სულთანი. . . . . . | 58 | „ |
| მენელიკ II, აბაშეთის მეფე . | 58 | „ |
| მაკ-კინლეი, შეერთებულ შტატების პრეზიდენტი . . . | 56 | „ |
| გეორგ I, საბერძნეთის მეფე . | 55 | „ |
| აბდურ-ხმან, ავღანის ემირი . | 55 | „ |
| მუტსჰიტო, იაპონიის იმპერატორი | 48 | „ |
| მუზაფერ-ედინი, სპარსეთის შაჰი | 47 | „ |
| ვილჰელმ II, გერმანიის იმპერატორი . . . . . . | 41 | „ |
| ფერდინანდი, ბოლგარიის მთავარი . . . . . . . | 39 | „ |
| ნიკოლოზ II, რუსეთის იმპერატორი . . . . . . | 32 | „ |
| ვიქტორ-ემანუილ III, იტალიის მეფე . . . . . . . | 30 | „ |
| კუანგ-სიუ, ჩინეთის იმპერატორი | 28 | „ |
| ალექსანდრე, სერბიის მეფე . | 24 | „ |
| ვილჰელმინა, ნიდერლანდიის დედოფალი . . . . . . | 20 | „ |
| ალფონს XIII, ესპანიის მეფე . | 14 | „ |

* * *

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ გამოჩენილ ინგლისელ კაპიტალისტს სესილ როდსს აზრადა აქვს აფრიკაში, კაპშტადტიდგან დაწყობილი ეგვიპტემდე, რკინის გზა გაიყვანოს. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, როდსი ახლო მომავალში შეუდგება კიდეც ამ აზრის განხორციელებას. აფრიკის თითქმის შუაგულ ადგილას სახელმწიფო კონგო მდებარეობს. როდსს უკვე აუღია ნება-რთვა კონგოს მთავრობისაგან, რომ რკინის გზამ ამ სახელმწიფოს ადგილებზედ გაიაროს. წინად როდსს აზრადა ჰქონია გზა გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის ადგილებზედ გაეტარებინა, მაგრამ ვერ მორიგებია გერმანიის მთავრობას.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 აგვისტო

პეტერბურგი. 17 აგვისტოს დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული წაბრძანდა ყირიმში; 16 აგვისტოს დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე წაბრძანდა ბელოვეჟში.

გენერალ რენენკამპფის რაზმმა, როდესაც მტერს მისდევდა აიგუნიდგან ხინგანამდე, შემდეგი ზარალი ჰნახა: მოუკლეს სამი ოფიცერი და 22 ჯარის-კაცი, დაუჭრეს 4 ოფიცერი 79 ჯარის-კაცი; ხინგანის შემდეგ ზარალი არა მოსვლია-რა. ამავე დროს რაზმმა დაიპყრო აიგუნთან ორი ტყვიის სასროლი ზარბაზანი, ეიუნთანა, ხინგანის უღელტეხილზედა და მერგენში—33 ზარბაზანი. გენერალ რენენკამპფის რაზმი 13 აგვისტოს იმყოფებოდა სოფელ ნინნი ანჯანთან, საიდგანაც შესაძლებელის სისწრაფით უტევს მტერს.

გონკონგი. ორასი თული 14 აგვისტოს ღამეს თავს დაეცა კანტონის იმ ნაწილს, სადაც თათრები სცხოვრობენ, და ოთხი სახლი გასძარცვა. აქ იმ აზრისანი არიან, რომ მიზეზი სიძულვილია კანტონის მცხოვრებელთა ჩრდილოეთის მკვიდრთა მიმართ; ამის გარეშე კანტონში სრული მშვიდობიანობაა. როგორც იუწყებიან ამოიდგან, იქ მისული ინგლისის სამხედრო გემი „იზისი". ხმა დადის, რომ ფორმოზიდგან ამოიში 12,000 იაპონიის ჯარი მისულა.

ტიან ძინი. ტიანძინის გარშემო სრული მშვიდობიანობაა.

ჰააგა. ბურების დელეგაცია გუშინ საღამოს მოვიდა.

შანხაი. გერმანიის ერთს ბანკსა და ვიცე-კოროლს ჩჟანჩჟინცზუნს შუა ამ ჟამად მოლაპარაკებაა ერთ მილიონ ტაელის სესხად აღების შესახებ. სესხი უზრუნველ-ყოფილი იქნება ვიცე-კოროლის ზოგიერთ სამრეწველო დაწესებულებანით.

გონგ კონგი. ვეზლიდგან დეპეშით ცნობაა მიღებული, რომ უსაფრთხოება ახალის ჯარის გაგზავნა ჩრდილოეთისაკენ და ამიტომ მე 4 ბრიგადა აღარ გაიგზავნება იქა.

შანხაი. ჩინელები 10 აგვისტოს ტეტშიში საშინლად დამარცხდნენ: პრინცი ტუანი და ათას ხუთასი კაცი დაიღუპნენ, დანარჩენნი იაპონელებმა განძევეს ჩჟილის პროვინციიდგან. იაოშიკაიმ ძლიერად დაამარცხა „დიდი მუშტი" და პეიცზანისა და ხესიუს საიმპერატორო ჯარი, და ამ დამარცხების დროს 1,500 კაცი დაიღუპა. პეკინსა და ტიან-ძინს შუა გზა უწინდელებრ შეკრულია; შიკრიკთათვის გზა საშიშია, რადგან „დიდის მუშტის" ბრბონი დადიან. ეს ქვეყანა იანცზუნიდგან ჩრდილოეთისაკენ წყალით არის წალეკილი.

18 აგვისტო

პეტერბურგი. 17 აგვისტოს მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ მობრძანდნენ ბელოვეჟში.

ტიანძინი. გენერალი ლინევიჩი იუწყება 6 აგვისტოს თარიღით, რომ, უცხო ქვეყნის უფროსებთან მოლაპარაკებისა და მორიგების თანახმად, არც ერთი სახელმწიფოს ჯარი ჯერ საიმპერატორო სასახლეში არ შესულა; სასახლის კარებში მოკავშირე სახელმწიფოთა დარაჯი სდგას. საიმპერატორო მთავრობა გაიქცა, მაგრამ სად, არ უწყიან.-ევროპის ჯარის მოსვლამდე ბევრი მანისტრი დასჯილ იქმნა. მეზვერავთა სიტყვით, სამხრეთის შჯადაში „დიდის მუშტის" მომხრენი არიანო; ამ დღეებში განზრახვა ჰქონდათ განედევნათ ისინი იქიდგან. ჩვენმა ჯარმა დაიჭირა საწყობი, რომელშიაც მილიონ ფუთამდე ბრინჯია. ცუნგ-ლი-იამენში მცირეოდენი ვერცხლი იპოვეს. ალყის დროს ჩვენის საელჩოს დარაჯი გმირულად იქცეოდა. დარაჯის უფროსსა, ლეიტენანტი ბარონი რადენი ხელმძღვანელობდა მტრის მოგერიების საქმეს. გენერალი ლინევიჩი იუწყება, რომ 6 აგვისტოს ჩვენის ჯარის მცირე რაზმმა, პოდპოლკოვნიკის ილინსკის მეთაურობით, დაიპყრო საიმპერატორო საზაფხულო სასახლე პეკინის ჩრდილოეთ-დასავლეთით; ზარალი არა მოგვსვლია-რა. ჩვენის არტილერიის ჯარმა პეკინში იპოვა 30 ზარბაზანი და დიდძალი ხელის იარაღი.—გენერალი გროდეკოვი იუწყება: „ორის დღის ბრძოლის შემდეგ გენერალ სახაროვის რაზმმა დაიპყრო აიგუნი, მტერს წაართვა შვიდი ზარბაზანი, დიდ ძალი სამხარი საზრდოსა და დიდი საწყობი სურსათისა. ჩვენის ჯარისა 8 კაცია დაჭრილი".

ფუდუტუნი. ჯარი და თითქმის ყველა მცხოვრებნი გაიქცნენ. შედგენილ იქმნა რაზმები, რომ კავშირი ჰქონდეს ნიკოლსკის რაზმთან და დაიცვას რკინის გზის ლიანდაგი აუგნეს აღმოსავლეთით.

კოპენჰაგენი. ფინანსთა მინისტრი ვიტტე ჩამოვიდა აქა.

მასსერუ. ყოველ წუთს მოელიან დედი-ბრანდზედ თავ-დასხმას. გორებზედ ბურების სადარაჯო ცეცხლი სჩანს. აქაურმა სამხედრო უფროსებმა გადასწყვიტეს დეჟი-ბრანდტი დაიცვან მტრისაგან.

გლასგო. აქ თავ-ჩენილ სენის ბაკტერიოლოგიურად გამოკვლევა უკვე დაბოლოვდა. ოფიციალურად უკვე გამოცხადებულია, რომ ჭირი არსებობსო. ამ ჟამად მკურნალებს 11 ავადმყოფი ჰყავთ ჭირით, რომელთაც სწამლობენ.

## განცხადებანი

### ქირავდება

მოწყობილი ოთახი.

მსურველს შეუძლიან სადილიც მიიღოს, მინკვიცის ქ., სახლი გოზალოვისა.

(1—161—1)

### ტფილისის ქალაქის გამგეობამდე მოაღწია ცნობამ,

რომ ვიღაც უცნობი კაცები ეუბნებიან იმათ, ვისაც ლოტკის-გორასა და „ნაძალადევში" იჯარით ადგილების აღება ჰსურთ, თუ ფულს მოგვცემთ, ვეცდებით და გამგეობისაგან იჯარით ავიღებთ თქვენთვის მიწასაო... რათა ბოლო მოეღოს გულუბრყვილო ხალხის ამ გვარ ექსპლოატაციას, გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ „ნაძალადევის" ადგილები არ გაიცემა იჯარით, სანამ არ იქნება შედგენილი მისი საზოგადო გეგმა. ხოლო რაც შეეხება ლოტკის გორას, იქ ადგილები გაიცემა იჯარით საბჭოს მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებულ წესების თანახმად.

ვისაც ჰსურს იჯარით აიღოს ლოტკის-გორაში ადგილები, თუ იგი წარმოადგენს ყველა იმ საბუთებს, რომელიც საბჭოს დადგენილებაშია აღნიშნული, შეუძლიან უშუამდგომლოდ მიჰმართოს თხოვნით ქალაქის გამგეობასა და მიიღოს იჯარა.

(3—6.—3)

### ქალების პროგიმნაზია ელენე ბახტაძისა დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ პირველ პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მეორე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდგან და გაგრძელდება მთელ წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წელიწადში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Августъ 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე